ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №25

18 მაისი 2023 წელი

12:00 საათი

ა/წ 18 მაისს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. ირაკლი ხელაძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. ლევან აბაშიძე;
5. ნათია მოდებაძე;
6. სოფიო ჯაფარიძე;
7. ლილე ლიპარტელიანი;
8. მამუკა გუგეშაშვილი;
9. ვახტანგ სურგულაძე.

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე მარიამ კვერნაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.

სხდომის დღის წესრიგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი, რომლის შესაბამისად ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესში.

პროექტის თანახმად, მტკიცდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი" (შემდგომში - წესი) და უსახლკაროდ რეგისტრაციის მსურველი პირის/ოჯახის განაცხადების ფორმები, დანართების სახით.

ეს წესი არ ვრცელდება დევნილის/ლტოლვილის სტატუსის მქონე პირებზე, ეკომიგრანტებზე, შეჭრილებზე, სახელმწიფო/მუნიციპალური პროექტის/პროგრამის ფარგლებში საცხოვრებლით დაკმაყოფილებულ ან დასაკმაყოფილებელ პირებზე. გამონაკლისს წარმოადგენენ ის პირები/ოჯახები, რომელთა დაკმაყოფილება საცხოვრისით მოხდა პროექტის „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში" ფარგლებში.

მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით, წარმოდგენილი პროექტით ცალ-ცალკეა გაწერილი უსახლკარო პირად და უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის კრიტერიუმები. უსახლკაროდ რეგისტრაციის მსურველმა პირმა უნდა მიმართოს ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს (შემდგომში - სამსახური) განაცხადის ფორმით და მოითხოვოს უსახლკარო პირად რეგისტრაცია. სამსახურის მიერ განაცხადი იგზავნება ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარში" (შემდგომში - ა(ა)იპ) იმისათვის, რომ გადამოწმებული იქნას აკმაყოფილებს თუ არა პირი შემდეგ პირობებს: ა) რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში; ბ) არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი; გ) არ გააჩნია საბინაო ხარჯების უზრუნველსაყოფად საჭირო შემოსავალი; დ) მის სახელზე არ არის რეგისტრირებული უძრავი ქონება; ე) განაცხადის ფორმის შევსებისას მონიშვნის ფორმით უნდა გამოხატოს თანხმობა თავშესაფრით სარგებლობასთან დაკავშირებით.

იმისათვის, რომ პირი დარეგისტრირდეს უსახლკაროდ, წესით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების გარდა, აუცილებელია, პირი მივიდეს ა(ა)იპ-ში.

იმ შემთხვევაში თუ ა(ა)იპ-ის გადამოწმების შემდეგ დადგინდა, რომ პირი აკმაყოფილებს ამ წესით გათვალისწინებულ პირობებს, თავშესაფარი ატყობინებს ამის შესახებ სამსახურს და სამსახური გამოსცემს ბრძანებას პირის უსახლკაროდ რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

პროექტში გაწერილია ასევე უსახლკარო პირად რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები, ა(ა)იპ ყოველ 3 (სამი) წელიწადში ერთხელ ამოწმებს აკმაყოფილებს თუ არა უსახლკაროდ რეგისტრირებული პირი წესით გათვალისწინებულ პირობებს.

პროექტში გაწერილია უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის კრიტერიუმები, სადაც მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით, იმისათვის რომ ოჯახი დარეგისტრირდეს უსახლკაროდ „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას ოჯახის არც ერთი წევრის მიმართ არ უნდა ფიქსირდებოდეს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აშკარაა, რომ უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხა არ/ვერ იქნება საკმარისი საცხოვრისით უზრუნველყოფისათვის“ აღნიშნულ ჩანაწერს დაემატა საგამონაკლისო მითითება იმის თაობაზე, რომ იმ შემთხვევაში, თუ ფიქსირდება უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება, მაგრამ აშკარაა რომ უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხა არ/ვერ იქნება საკმარისი საცხოვრისით უზრუნველყოფისათვის, ეს გარემოება უკვე აღარ იქნება დამაბრკოლებელი უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციისათვის.

უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის გამომრიცხავ გარემოებებში დამატებულია, ერთი პუნქტი, რომლის მიხედვითაც უსახლკაროდ რეგისტრაციის მსურველი ოჯახის შესახებ თუ შესაბამისი გამგეობა ვერ მოიპოვებს ინფორმაციას, ეს იქნება უარის თქმის საფუძველი. აღნიშნული ჩანაწერი მითითებული იყო განუხილველად დატოვების მუხლში და გადმოვიდა გამომრიცხავ გარემოებებში. წესში ასევე ცალკე მუხლადაა გაწერილი უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის განაცხადის განუხილველად დატოვების პირობები.

მოქმედ წესთან შედარებით, წარმოდგენილ პროექტში კომისიის მიერ უსახლკარო ოჯახად რეგისტრირებული ოჯახისათვის ქულათა მინიჭების სისტემაში მითითებული მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრ(ებ)ისათვის 2 ქულის ნაცვლად მითითებულია 3 ქულა.

მოქმედ წესთან შედარებით შეცვლილია უსახლკაროდ დარეგისტრირებული ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფის პროცედურა, კერძოდ, უსახლკაროდ რეგისტრირებული და ქულა მინიჭებული ოჯახების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება ა(ა)იპ-ს და მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობებს (უსახლკარო ოჯახების რეგისტრაციის მისამართის მიხედვით). ა(ა)იპ-სათვის და გამგეობებისათვის მიწოდებული ოჯახების საცხოვრისით დაკმაყოფილების რიგითობა განისაზღვრება ქულის მიხედვით, როგორც ა(ა)იპ-ს მიერ, ისე თითოეულ რაიონში, პირველ ეტაპზე ფართის მოძიების/უკვე არსებულ სოციალურ საცხოვრისებში ფართის გამოთავისუფლების თაობაზე დაკავშირება ხდება უფრო მაღალი ქულის მქონე ოჯახებთან. ქულათა დამთხვევის შემთხვევაში აღნიშნული რეგულირდება უსახლკარო ოჯახის სტატუსის მინიჭების თარიღით, იმ შემთხვევაში თუ სტატუსის მინიჭების თარიღიც იგივეა, აღნიშნული რეგულირდება განაცხადის შემოტანის თარიღით.

გამგეობა აგზავნის სრულ დოკუმენტაციას მოძიებული ფართის შესახებ (მათ შორის მოძიებული ფართის საიდენტიფიკაციო კოდი, ფოტოები, მფლობელის მონაცემები, მდებარეობს თუ არა საცხოვრებელი/ბინა ავარიულ კორპუსში და ა.შ.) და აყენებს შუამდგომლობას სააგენტოსთან კონკრეტული ოჯახისთვის ფართის შეძენის თაობაზე.

დოკუმენტაციის გავლის შემდგომ, სააგენტოს მიერ ფართი შესაფასებლად იგზავნება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში.

ბიუროს დასკვნის წარმოდგენის შემდგომ, მოწმდება ფართის, ბიუროს მიერ დადგენილი საბაზრო ღირებულებისა და მესაკუთრის მიერ განსაზღვრული ნასყიდობის საფასურის შესაბამისობა მთავრობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან და შესაბამისობის შემთხვევაში, მზადდება საკითხი მთავრობის სხდომაზე გასატანად.

მთავრობის განკარგულების გამოცემის შემდგომ, უძრავი ნივთის მესაკუთრესთან ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, შეძენილი ფართის მესაკუთრედ რეგისტრირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი. აღნიშნულის შემდგომ სააგენტო გამოსცემს ბრძანებას შეძენილი ფართის ა(ა)იპ-სათვის გადაცემის თაობაზე, რის თაობაზეც, აცნობებს სამსახურს.

ა(ა)იპ აწვდის ინფორმაციას სამსახურს კონკრეტული ოჯახისთვის გამოთავისუფლებული ფართის შეთავაზების თაობაზე. გამგეობა აწვდის ინფორმაციას სამსახურს კონკრეტული ოჯახისთვის კონკრეტული ფართის შეძენის თაობაზე. სააგენტოდან გადმოგზავნილი სააგენტოს უფროსის ბრძანებისა და გამგეობის ინფორმაციის საფუძველზე ან ა(ა)იპ-ის შუამდგომლობის საფუძველზე ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს (განკარგულების სახით) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

კომისია ახალი გარემოების გამოვლენისას უფლებამოსილია ოჯახს გაუუქმოს უსახლკარო ოჯახის სტატუსი.

მოქმედი წესისაგან განსხვავებით დამატებულია გარდამავალი დებულების მე-9 მუხლი, კერძოდ, უსახლკაროდ რეგისტრირებული და ქულა მინიჭებული ოჯახებიდან პირველ რიგში კმაყოფილდებიან 2016-2021 წლებში უსახლკარო სტატუს მინიჭებული ოჯახები ამავე წესის მე-8 მუხლში გაწერილი პროცედურის მიხედვით.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ლილე ლიპარტელიანმა და მამუკა გუგეშაშვილმა;

ხოლო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დადგენილების პროექტს.

2. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი რომლის შესაბამისად ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულებაში. კერძოდ, პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში და ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ბ) საცხოვრებელი ბინის 1 კვ.მ-ის ღირებულება, მათ შორის, ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს 900 (ცხრა ასი) აშშ დოლარს.“

კომისიის თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი ბენეფიციარი დაკმაყოფილდა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში?

საკითხის წარმომდგენის ინფორმაციით პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებისთვის შეიძინეს 30 ბინა, ხოლო წლიური ბიუჯეტი შეადგენს 5 მილიონ ლარს.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ უძრავი ქონების ფასის ზრდის გამო ფერხდებოდა ბენეფიციარებისთვის´ შესაბამისი ფართის მოძიების პროცესი, ხოლო ცვლილების შემდეგ საცხოვრისით უზრუნველყოფა უფრო გამარტივდება, ამასთან 5 მილიონი ლარი არ არის პროგრამის ბიუჯეტის მაქსიმალური რაოდენობა, მოთხოვნის შესაბამისად გაიზრდება ბიუჯეტის ოდენობაც. ამჟამად 429 უსახლკარო პირია რეგისტრირებული.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ლილე ლიპარტელიანმა და მამუკა გუგეშაშვილმა.
ხოლო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ლევან მიქავამ წარმოადგინა დადგენილები პროექტი, რომლის შესაბამისად ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებით დამტკიცებულ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში".

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება გრანტების ნაწილში საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები 150,0 ათასი ლარით (მათ შორის ჩინეთის საელჩოსთან გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, ატენის ქ.N16-ში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია და აფხაზეთის ქ.23-ში (წყნეთის ტყე-პარკის ტერიტორია) ორი ერთეული ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობა - 130,0 ათასი ლარი, ხოლო ევროპის საბჭოსთან გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, პროექტის - „ინფორმაციის საჯარო სერვისებსა და პროგრამებზე ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობის გაზრდას თბილისის მუნიციპალურ სამსახურებში" განხორციელების მიზნით - 20,0 ათასი ლარი), სხვა შემოსავლების ნაწილში მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 3 700,0 ათასი ლარით, სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მისაღები შემოსავლები - 22 764,6 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 26 614,6 ათასი ლარით და შეადგენს 1 803 072,3 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მიმართულებით იზრდება:

კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) – 1 800,0 ათასი ლარით;

დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 16 10) - 50,0 ათასი ლარით;

დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ისნის რაიონში (კოდი 06 02 16 13) - 30,0 ათასი ლარით;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 665 278,1 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 137 794,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 605 178,1 ათასი ლარის ოდენობით.

ა/წ 18 მაისს, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის წინადადების საფუძველზე საკითხის წარმომდგენმა, ითხოვა ცვლილების განხორციელება წარმოდგენილი ბიუჯეტის ტექსტურ ნაწილსა და მის ყველა დანართში. კერძოდ, შინმოვლის თანადაფინანსების ქვეპროგრამაში (კოდი: 06 02 26) გათვალისწინებული შემფასებლისათვის მომსახურების ერთეული ღირებულების (ერთი ბართელის კითხვარის შევსება) ანაზღაურება 8 ლარის ნაცვლად განისაზღვროს 9 ლარის ოდენობით.

ნაცვლად:

,,შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი: 06 02 26) -ქვეპროგრამა გულისხმობს საჭიროების მქონე პირთა გამოვლენას ბართელის ინდექსის შესაბამისად, ასევე ბენეფიციართა პერსონალურ მოვლას, საექიმო და საექთნო მომსახურებას, დახმარებას ყოველდღიურ საქმიანობაში (საყიდლები, ბინის დალაგება, ჭურჭლის და სარეცხის გარეცხვა, საკვების მომზადება), სოციალურ-ტექნიკურ დახმარებას, მოვლისათვის საჭირო მასალებით უზრუნველყოფას. პროგრამის მოსარგებლეს წარმოადგენს თბილისში, ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული 200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრი, რომელსაც მინიჭებული აქვს ბართელის უძლურების ინდექსი არაუმეტეს 95-სა. ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს მოსარგებლეთა და მათი ახლობლების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება კვალიფიციური მომსახურების მიწოდების გზით. ბართელის შკალის შესაბამისად ინდექსის მინიჭების (ფორმის შევსების) ღირებულებაა 8 ლარი."

ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი: 06 02 26) -ქვეპროგრამა გულისხმობს საჭიროების მქონე პირთა გამოვლენას ბართელის ინდექსის შესაბამისად, ასევე ბენეფიციართა პერსონალურ მოვლას, საექიმო და საექთნო მომსახურებას, დახმარებას ყოველდღიურ საქმიანობაში (საყიდლები, ბინის დალაგება, ჭურჭლის და სარეცხის გარეცხვა, საკვების მომზადება), სოციალურ-ტექნიკურ დახმარებას, მოვლისათვის საჭირო მასალებით უზრუნველყოფას.

პროგრამის მოსარგებლეს წარმოადგენს თბილისში, ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული 200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრი, რომელსაც მინიჭებული აქვს ბართელის უძლურების ინდექსი არაუმეტეს 95-სა. ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს მოსარგებლეთა და მათი ახლობლების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება კვალიფიციური მომსახურების მიწოდების გზით. ბართელის შკალის შესაბამისად ინდექსის მინიჭების (ფორმის შევსების) ღირებულებაა 9 ლარი."

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ლილე ლიპარტელიანმა, მამუკა გუგეშაშვილმა, სოფიო ჯაფარიძემ და ვახტანგ სურგულაძემ. ხოლო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტები წარმოდგენილი ცვლილებებით განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე